



ელექტრობა/ Electricity

- 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** ელექტრობა/ Electricity
- 2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში/ Basic Vocational Qualification electricity;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორს შეესაბამება სფეროს “ელექტრობა ენერგეტიკა“ კოდი 0713.
- 3. მიზანი**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტრობაში.
- 4. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები**
მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისათვის - საბაზო განათლება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება.
- 5. დასაქმების შესაძლებლობები**

მესამე საფეხურის ელექტრობის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად:

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- ელექტრიკოსი
- ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე
- შენობის ელექტრიკოსი
- მომმარაგებელ-ელექტრიკოსი
- ელექტრო-მექანიკოსი
- ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე
- განათების სისტემების მემონტაჟე
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე
- დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე
- ასფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე
- მზის ენერჯის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟე

6. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი, საიდანაც ზოგად მოდულთა კრედიტების ჯამური რაოდენობაა 10 კრედიტი, დანარჩენი პროფესიული მოდულებია. არაქართულ ენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 67 კრედიტი, საიდანაც ზოგად მოდულთა კრედიტების ჯამური რაოდენობაა 25კრედიტი. ქართულენოვანთათვის სწავლების ხანგრძლივობა არის 9.5 თვე. არაქართულენოვანთათვის სწავლების ხანგრძლივობა არის 1 წელი

მესამე საფეხურის ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში	-	2
2	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	-	1
3	ინფორმაციული წიგნიერება 1	-	3
4	საინჟინრო ხაზვა	-	4
5	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	-	4
6	კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში	-	4
		ჯამი	18
მესამე საფეხურის ელექტროობის ზოგადი მოდულები			
4	უცხოური ენა	-	4
5	მეწარმეობა 1	-	2
		ჯამი	6

მესამე საფეხურის ელექტრობის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
1	ჯანმრთელობა და უსაფრთოება ელექტრობაში	-	4
2	ელექტრული ტექნოლოგია	-	4
3	ელექტრული მანქანების თვისებების და გამოყენება	-	4
4	ელექტრული მონტაჟი	-	4
5	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	-	4
6	საინჟინრო პროექტი	-	8
	ჯამი		28
	ჯამი:		52

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის სწავლის შედეგები

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტრობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.

8. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.